გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 149

2024 წლის 13 სექტემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ყველაანთუბანში, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია განცხადება, გორის მუნიციპალიტეტის სოფელყველაანთუბანში ს/კ 66.61.01.003-ზე „არყიანი შალე რეზორტ და სპა“ კომპლექსის განვითარებისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირებასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს რესტორანს, სასტუმროს, საბავშვო მოედანს, საკონფერენციო დარბაზს, ხელოვნურ ტბას, შალას, ღია და დახურული საცურაო აუზებს.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 43-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ ტერიტორიისთვის გენერალური გეგმა არ არსებობს, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება უნდა შეთანხმდეს იმავე მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ გორის მუნიციპალიტეტისთვის ამ დროისთვის გენერალური გეგმა არ არსებობს, ამასთან, გეგმარებით ერთეულზე ან მის მიმდებარედ მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი რაიმე ქალაქთმშენებლობითი ღონისძიება და/ან მსხვილი ინფრასტრუქტურული მშენებლობა, რაც ხელისშემშლელი იქნებოდა ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების დაწყებისთვის, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ყველაანთუბანში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 66.61.01.003) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს

კანონის საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ყველაანთუბანში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 66.61.01.003) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე